ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №7598143

ნომერი: AR11104987

თარიღი : 19.08.2025

გაცემის თარიღი : 20.08.2025

გაცნობის თარიღი : 20.08.2025

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი, ვლადიმერ უგრეხელიძის ქუჩა, N 15;

დამკვეთი-განმცხადებელი

- კონსტანტინე ღვინჯილია პ/ნ 19001097637
- თბილისი, მუხრან მაჭავარიანის 20გ

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2025 წლის 19 აგვისტოს №AR11104987 განცხადებით მომართა კონსტანტინე ღვინჯილიამ და მოითხოვა ამავე სამსახურის 2023

წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 ბრძანებით, №01.14.03.040.544 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, შეთანხმდა მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A1 ბლოკი) და ასევე, არსებული დამხმარე შენობა ოფისის რეკონსტრუქციის (A3 ბლოკი) არქიტექტურული პროექტი.
სამსახურის 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებით გაიცა მშენებლობის ნებართვა და მშენებლობის ვადა განისაზღვრა 2024 წლის 22 იანვრიდან 2028 წლის 22 იანვრის ჩათვლით.
განმცხადებლის განმარტებით, სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებებში დაშვებულია ტექნიკური შეცდომა, კერძოდ ბრძანებების სარეზოლუციო ნაწილების პირველ პუნქტებში არ არის დაფიქსირებული საპროექტო ობიექტები სრულად, კერძოდ მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლთან (A1 ბლოკი) ერთად, არ აროს მითითებული ინფორმაცია არსებული დამხმარე შენობა ოფისის რეკონსტრუქციის (A3 ბლოკი) არქიტექტურული პროექტის შეთანხმების თაობაზე. შესაბამისად, მოთხოვნილია აღნიშნული ტექნიკური შეცდომის გასწორება.
სამსახურის მიერ დოკუმენტაციის გადამოწმების შედეგად დადგენილ იქნა, რომ შეთანხმებული საპროექტო დოკუმენტაციით, მათ შორის გეგმა-ნახაზებით გათვალისწინებულია, როგორც მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A1 ბლოკი), ისე არსებული დამხმარე შენობა ოფისის რეკონსტრუქციის (A3 ბლოკი) არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა. შესაბამისად, შესაძლებელია სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორება და საპროექტო ობიექტების სრულად დაფიქსირება.
საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად, ადმინისტრაციული ორგანო უფლებამოსილია მის მიერ გამოცემულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში გაასწოროს ტექნიკური, აგრეთვე გამოთვლის დროს დაშვებული შეცდომები.
შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია განმცხადებლის მოთხოვნის დაკმაყოფილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებებში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.
ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებებში და:
1.1. სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. შეთანხმდეს, №01.14.03.040.544 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე, მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (A1 ბლოკი) და ასევე, არსებული დამხმარე შენობა ოფისის რეკონსტრუქციის (A3 ბლოკი) არქიტექტურული პროექტი.
1.2. სამსახურის 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანების სარეზოლუციო ნაწილის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. გაიცეს, ქ. თბილისში, პეტრე ქავთარაძის ქუჩა, N20ა-ში მდებარე №01.14.03.040.544 საკადასტრო კოდით რეგისტრირებულ მიწის ნაკვეთზე შეთანხმებული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის (ბლოკი A1) და ასევე, არსებული დამხმარე შენობა ოფისის რეკონსტრუქციის (A3 ბლოკი) არქიტექტურული პროექტის საფუძველზე, მშენებლობის ნებართვა.
2. ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებები დანარჩენ ნაწილში დარჩეს უცვლელი.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2023 წლის 5 სექტემბრის №6648415 და 2024 წლის 22 იანვრის №6846961 ბრძანებებთან ერთად.
4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან, (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა №7) კანონმდებლობით დადგენილი წესით, აქტის ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.